



ATIPfund
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030897216476516

№ 07-4/ო

06 / იანვარი / 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2013 წლის 28 ივნისის №07-93/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2013 წლის 28 ივნისის №07-93/ო ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მომვლელების, მედდების/ექთნების, აღმზრდელების, დარაჯების, ცხელი ხაზის ოპერატორების, მზარეულების, მზარეულის დამხმარეების, ასევე, ცვლაში მომუშავე სხვა პირებისათვის, მათ შორის ფონდის ფილიალ „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში“ დასაქმებული ექიმ-პედიატრებისთვის, სამუშაო დრო განისაზღვრება, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი პირობების შესაბამისად, ფილიალის/თავმესაფრის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული/განსაზღვრული ცვლიანობის განრიგით, თუ ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთან, ცვლიანობის განრიგი უნდა შეესაბამებოდეს ფონდის ბენეფიციარებისათვის მომსახურების უწყვეტი მიწოდების პირობებს. ფილიალების/თავმესაფრების ხელმძღვანელები ცვლიანობის განრიგს ამტკიცებენ/განსაზღვრავენ ფონდის დირექტორთან შეთანხმებით.“.

2. დაევალოთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) ტერიტორიული (ფილიალი) და სტრუქტურული (თავმესაფარი) ერთეულების უფროსებს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 5 სამუშაო დღეში წარმოადგინონ შესაბამის ფილიალში/თავმესაფარში ცვლაში მომუშავე

პირთა ცვლიანობის განრიგი ფონდის დირექტორთან შესათანხმებლად.

3. დაევალოს ფონდის აპარატის უფროსს (ლ. კერესელიძე) ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში ფონდის ფილიალების და თავშესაფრების უფროსებისთვის ამ ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

თამილა ბარკალაია

